საბანკო სექტორი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმდებდა 13 კომერციული ბანკი (12 ფილიალი / 67 სერვის ცენტრი / 1 956 დასაქმებული). რეგიონში მოქმედი კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის მოცულობამ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 5.3 მილიარდი ლარი, ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში 14%.

საკრედიტო პორტფელი (აჭარის ა.რ.)
(ნაშთების მიხედვით)

მლნ ლარი	2020	2021	2022	2023	2024
საკრედიტო პორტფელის მოცულობა	**3 262.3**	**3 544.9**	**3 696.1**	**4 648.3**	**5 315.4**
მათ შორის:					
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	**2 218.8**	**2 314.0**	**2 522.1**	**3 099.1**	**3 745.4**
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	**1 043.5**	**1 230.9**	**1 174.0**	**1 549.2**	**1 570.0**
ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხები	**1 165.4**	**1 410.9**	**1 673.4**	**2 087.5**	**2 615.5**
უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები	**2 096.9**	**2 134.0**	**2 022.7**	**2 560.8**	**2 699.9**
მოკლევადიანი სესხები	**145.1**	**193.3**	**163.7**	**174.1**	**196.4**
ეროვნული ვალუტით	83.7	97.4	98.2	121.8	134.2
უცხოური ვალუტით	61.3	95.9	65.5	52.3	62.2
გრძელვადიანი სესხები	**3 117.3**	**3 351.6**	**3 532.4**	**4 474.2**	**5 119.1**
ეროვნული ვალუტით	61.3	1 313.5	1 575.1	1 965.6	2 481.4
უცხოური ვალუტით	2 035.5	2 038.1	1 957.2	2 508.6	2 637.7

ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები (აჭარის ა.რ. 2024 წ.)



სესხები ვადის მიხედვით
(აჭარის ა.რ., 2024 წ.)



სესხები ვალუტის მიხედვით (აჭარის ა.რ.)



რეგიონში კომერციული ბანკების მიერ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იურიდიულ პირებზე გაცემულმა სესხებმა სექტორების მიხედვით შეადგინა 1.6 მილიარდი ლარი. სექტორულ დაკრედიტებაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით გამოირჩევა ვაჭრობა (32%). ფიზიკურ პირებზე გაცემულმა სესხებმა შინამეურნეობების მიხედვით შეადგინა 3.7 მილიარდი ლარი, რომელშიც უდიდესი წილი უჭირავს სამომხმარებლო სესხებს 47%

სექტორებზე გაცემული სესხების დინამიკა (აჭარის ა.რ.)



შინამეურნეობებზე გაცემული სესხების დინამიკა (აჭარის ა.რ.)



სესხები ნაკადების მიხედვით

2024 წლის განმავლობაში გაცემული ახალი სესხების მოცულობამ შეადგინა 3.6 მილიარდი ლარი, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში -4%. გაცემული სესხების 96%-ს გრძელვადიანი სესხები წარმოადგენდა.

მლნ ლარი	2020	2021	2022	2023	2024
ახალი სესხები	**1 859.8**	**2 630.9**	**2 639.8**	**3 759.2**	**3 622.3**
მათ შორის:					
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	**1 253.6**	**1 723.2**	**1 810.1**	**2 262.8**	**2 687.6**
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	**606.1**	**907.6**	**829.7**	**1 496.4**	**934.7**
ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხები	**1 003.7**	**1 411.9**	**1 507.4**	**1 844.9**	**2 411.3**
უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები	**856.1**	**1 218.9**	**1 132.4**	**1 914.3**	**1 211.0**
მოკლევადიანი სესხები	**365.7**	**423.1**	**479.4**	**662.1**	**589.9**
ეროვნული ვალუტით	272.2	286.5	323.5	353.7	445.7
უცხოური ვალუტით	93.5	136.6	155.9	308.4	144.2
გრძელვადიანი სესხები	**1 494.0**	**2 207.8**	**2 160.4**	**3 097.1**	**3 032.3**
ეროვნული ვალუტით	731.4	1 125.5	1 183.9	1 491.3	1 965.6
უცხოური ვალუტით	762.6	1 082.3	976.5	1 605.8	1 066.7

ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები (აჭარის ა.რ. 2024 წ.)



სესხები ვადის მიხედვით (აჭარის ა.რ., 2024 წ.)



რეგიონში კომერციული ბანკების მიერ 2024 წელს ფიზიკურ პირებზე გაცემულმა სესხებმა შინამეურნეობების მიხედვით შეადგინა 2.7 მილიარდი ლარი, რომელშიც უდიდესი წილი უჭირავს სამომხმარებლო სესხებს (56%). იურიდიულ პირებზე გაცემულმა სესხებმა სექტორების მიხედვით შეადგინა 934.6 მლნ. ლარი. სექტორულ დაკრედიტებაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით გამოირჩევა ვაჭრობა (38%).

სექტორებზე გაცემული სესხების დინამიკა (აჭარის ა.რ.)



შინამეურნეობებზე გაცემული სესხების დინამიკა (აჭარის ა.რ.)



დეპოზიტები ნაშთების მიხედვით

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულ იქნა 3.8 მილიარდი ლარის დეპოზიტები (ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში - 10%), რომელშიც უცხოური ვალუტით დენომინირებულმა დეპოზიტებმა შეადგინა 62%. მოზიდული დეპოზიტების 31% წარმოდგენილია არარეზიდენტი პირებისგან.

მოზიდული დეპოზიტების დინამიკა (აჭარის ა.რ.)



მოზიდული დეპოზიტები სუბიექტების მიხედვით (აჭარის ა.რ.)



ფულადი გზავნილები

2024 წლის განმავლობაში აჭარის რეგიონში განხორციელებულმა ფულადმა გზავნილებმა ჩარიცხვების მიხედვით შეადგინა 787.2 მლნ. აშშ დოლარი, მათ შორის საშუამავლო ბანკების მეშვეობით უცხოეთის ქვეყნებიდან ჩარიცხული ფულადი გზავნილების მოცულობამ შეადგინა 676.6 მლნ. აშშ დოლარი, ელექტრონული ანგარიშსწორების მიხედვით ჩარიცხული ფულადი გზავნილების მოცულობამ კი - 110.6 მლნ. აშშ დოლარი.

ფულადი გზავნილების დინამიკა ჩარიცხვების მიხედვით (აჭარის ა.რ.)



საშუამავლო ბანკების მიერ უცხოეთის ქვეყნებიდან ჩარიცხული ფულადი გზავნილები (აჭარის ა.რ.)



2024 წლის განმავლობაში აჭარის რეგიონიდან განხორციელებულმა ფულადმა გზავნილებმა გადარიცხვების მიხედვით შეადგინა 639.2 მლნ. აშშ დოლარი, მათ შორის საშუამავლო ბანკების მეშვეობით უცხოეთში გადარიცხვების მოცულობა იყო 601.9 მლნ აშშ დოლარი, ხოლო ელექტრონული ანგარიშსწორების მიხედვით გადარიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა კი - 37.3 მლნ აშშ დოლარი.

ფულადი გზავნილების დინამიკა გადარიცხვების მიხედვით (აჭარის ა.რ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.